სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების გზამკვლევი

სამტრედია

2024 წელი

სარჩევი

შესავალი 3

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების მოკლე მიმოხილვა 3

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან 4

ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2023 წლის განმავლობაში გამოყოფილი და გადარიცხული თანხები 15

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება 16

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) 17

ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00) 18

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) 19

განათლება (პროგრამული კოდი 04 00) 20

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) 21

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) 24

შესავალი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტიური შესრულების შედარებას წლიურ გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისათვის და წლის დასასრულისათვის;

დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და ფაქტობრივ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ეს სხვაობა აღემატება 30%-ს;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ;

ვ) პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგს;

ზ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების და შ.პ.ს.-ების ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების მოკლე მიმოხილვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრა 22,890.5 ათასი ლარით, მათ შორის:

- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი - 17,254.8 ათასი ლარი;
- ✓ ქონების გადასახადი - 3,050.0 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები - 375.0 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები - 2,091.7 ათასი ლარი;

- ✓ არაფინანსური აქტივების კლება - 119.0 ათასი ლარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 41,586.3 ათასი ლარი:

- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი - 17,556.0 ათასი ლარი;
- ✓ ქონების გადასახადი - 3,050.0 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები - 11,170.6 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები - 2,914.8 ათასი ლარი;
- ✓ არაფინანსური აქტივების კლება - 767.7 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	**35,459.1**	**10,909.3**	**24,549.8**	**35,642.0**	**10,803.5**	**24,838.5**	**100.5**
შემოსავლები	34,691.4	10,909.3	23,782.1	34,803.7	10,803.5	24,000.2	100.3
არაფინანსური აქტივების კლება	767.7	0.0	767.7	838.3	0.0	838.3	109.2
გადასახდელები	**41,586.3**	**12,992.4**	**28,593.9**	**38,124.1**	**11,477.5**	**26,646.6**	**91.7**
ხარჯები	23,086.5	2,872.9	20,213.6	22,179.1	2,583.8	19,595.3	96.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	18,429.7	10,119.5	8,310.2	15,874.9	8,893.7	6,981.2	86.1
ვალდებულებების კლება	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	100.00
ნაშთის ცვლილება	-6127.2	-2083.1	-4044.1	-2482.1	-674.0	-1808.1	

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 35,459.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35,642.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100.5%.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 34,691.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 34,803.7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100.3% და მთლიანი შემოსულობების - 97.6% შეადგინა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადების ფაქტობრივმა შესრულებამ 20,560.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (გეგმა 20,606.0 ათასი ლარი) 99.8 პროცენტია. **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,031.0 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1,645.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 36.0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,349.4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი ქონების გადასახადიდან – 3,178.5 ათასი ლარი) შედარებით 147.5 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წელს მიღებულია 2,004.6 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 17,529.3 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 14,302.1 ათასი ლარი) შედარებით 3,227.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. დღგ-ს ზრდა გამოწვეულია 2023 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად, განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	

გადასახადები	11	17,480.6	20,606.0	0.0	20,606.0	20,560.3	0.0	20,560.3	99.8
დღგ	11411	14,302.1	17,556.0		17,556.0	17,529.3		17,529.3	99.8
ქონების გადასახადი	113	3,178.5	3,050.0	0.0	3,050.0	3,031.0	0.0	3,031.0	99.4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2,004.6	1,970.0		1,970.0	1,645.6		1,645.6	83.5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	29.1	10.0	0.0	10.0	36.0	0.0	36.0	360.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	221.7	140.0	0.0	140.0	272.9	0.0	272.9	194.9
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1,014.1	930.0	0.0	930.0	1,076.5	0.0	1,076.5	115.8



გრანტების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 11,170.6 ათასი ლარი და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 12,514.7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1,344.1 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	13	11,170.6	10,909.3	261.3	11,051.7	10,803.5	248.2	98.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	161.3		161.3	148.2		148.2	91.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	11,009.3	10,909.3	100.0	10,903.5	10,803.5	100.0	99.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	1,095.8	1,095.8	0.0	1,018.0	1,018.0	0.0	92.9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		375.0	375.0	0.0	360.4	360.4		96.1
საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება		720.8	720.8		657.6	657.6		91.2
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	9,913.5	9,813.5	100.0	9,885.5	9,785.5	100.0	99.7
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		6,163.3	6,163.3	0.0	6,138.3	6,138.3		99.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		660.0	660.0	0.0	660.0	660.0		100.0

კაპიტალური დანიშნულების გრანტები		100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0
სპეციალური ტრანსფერი		2,760.0	2,760.0		2,760.0	2,760.0		100.0
საჯარო სკოლების უნფრასტრუქტურის გაუმჯობესება		230.2	230.2		227.2	227.2		98.7



- დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 375.0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 360.4 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6,163.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 6,138.3 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 2,760.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 2,760.0 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 100.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 100.0 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 720.8 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 657.6 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 230.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 227.2 ათასი ლარი.

- საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (შემდგომში UNDP) პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის'' მუნიციპალიტეტს გამოეყო - 161.3 ათასი ლარი. ფაქტობრივად ჩარიცხულია - 148.2 ათასი ლარი.

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 660.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 660.0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 3,191.7 ათასი ლარი და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 2,941.7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 250.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	14	2,914.8	0.0	2,914.8	3,191.7	0.0	3,191.7	109.5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	839.3	0.0	839.3	868.6	0.0	868.6	103.5
პროცენტები	1411	448.7		448.7	467.4		467.4	104.2
რენტა	1415	390.6	0.0	390.6	401.2	0.0	401.2	102.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	1,245.3	0.0	1,245.3	1,281.8	0.0	1,281.8	102.9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	1,219.0	0.0	1,219.0	1,251.8	0.0	1,251.8	102.7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	26.3	0.0	26.3	30.0	0.0	30.0	114.1
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	542.4		542.4	576.9		576.9	106.4

ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	287.8		287.8	464.4		464.4	161.4

***შენიშვნა:** ნებაყოფლობითი ტრანსფერების (გრანტების გარეშე) გადაჭარბება განაპირობა 2023 წლის ბოლოს გარკვეული პროექტების გეგმა-გრაფიკის დარღვევით შესრულებამ, რაზეც შემსრულებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.*

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის ფაქტობრივმა შესრულებამ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებული ანალოგიური მაჩვენებლის საშუალო ოდენობას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.


2023 წლის სხვა შემოსავლები სახეობების მიხედვით
2,500.0
2,000.0
1,500.0
1,000.0
500.0
0.0
100%
467.4
448.7
100.7
305.3
303.2
109.7
95.9
87.4
107.7
14.0
13.0
188.9
3.4
1.8
100.8
1,032.2
1,024.0
112.3
202.1
180.0
114.1
30.0
26.3
106.4
576.9
542.4
161.4
464.4
287.8
ვირეგტნტები
მიმდინარე ბიუჯეტიდან რეზერვებით საგზაფხლიმიმართვის
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (ოპერირებაში, ქირაობაზა და სხვა) მყოფ ფიზიკურ
სანებართვო მოსაკრებელი
საბუღალო საკალდებულო საშსახურის გაფორმების მოსაკრებელი
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
შემოსავლები მიმმართველის ფონდიდან
ჯარიმები, სანქციები და საურავები
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე



არაფინანსური აქტივების კლებიდან ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 838.3 ათასი ლარი და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 1238.5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 400.2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**767.7**	**838,3**	**109,2**
ძირითადი აქტივები	**311**	**6.2**	**26,3**	**424,2**
არაწარმოებული აქტივები	**314**	**761.5**	**812,0**	**106,6**
მიწა	3141	761.5	812,0	106,6

**ძირითადი აქტივებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს არამარტო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების პრივატიზებით მიღებულ თანხას, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და*

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ქონებების პრივატიზებით მიღებულ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ერიცხება პროცენტულად მუნიციპალიტეტს.



ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2026 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეცტექნიკა და 100 ურნა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2024-2026წწ დასაფარი დავალიანება შეადგენს 175.3 ათას ლარს.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	**2023 წლის გეგმა**	**2023 წლის ფაქტი**
ვალდებულებების ცვლილება	-70.1	-70.1
ზრდა	0.0	0.0
კლება	70,1	70,1
საშინაო კრედიტორები	70,1	70,1

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა ნაშთი 6,129.3 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 2,083.1 ათასი ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთს, ხოლო 4,046.2 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტით არსებულ ნაშთს. საანგარიშო წლის განმავლობაში ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 5,629.2 ათასი ლარი, მათ შორის მთავრობის - 1,745.2 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტით - 3,868.4 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების (ნაშთის) დაგროვებამ შეადგინა - 3,147.3 ათასი ლარი, მათ შორის მთავრობის 1,065.5 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტით - 2,066.2 ათასი ლარი. (2023 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების შედეგად დარჩენილი ნაშთისა და მიღებული შემოსულობების შესაბამისად)

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3,647.4 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს - 1,403.4 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 2,244.0 ათას ლარს.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	**2023 წლის გეგმა**	**2023 წლის ფაქტი**
ფინანსური აქტივების ცვლილება	-6,127.2	-2,482.1
ზრდა	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0
კლება	6,127.2	2,482.1
ვალუტა და დეპოზიტი	6,127.2	2,482.1

*ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულ მთლიან ნაშთს.

ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2023 წლის განმავლობაში გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(თანხა ლარებში)

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება
სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები (ორგ. კოდი - 06 02 04)				72,698.00	72,698.00
1	ბ62. 622308213	23/03/2023	თინათინ ნიშნიანიძისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით	14,865.00	14,865.00

2	ბ62. 62230908	31.03.2023	ლუკა კიკვაძისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა	5,000.00	5,000.00
3	ბ62. 62230909	31.03.2023	შოთა მსხილაძისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა	5,000.00	5,000.00
4	ბ62. 622311412	24.04.2023	ზეინაბ ჩაჩუას ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენა	5,000.00	5,000.00
5	ბ62. 62231212	01.05.2023	შოთა მსხილაძისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა	5,000.00	5,000.00
6	ბ62. 62231374	17.05.2023	შშმ პირი ირმა ჭანტურიასთვის ინვალიდის ეტლის შესაძენად	1,300.00	1,300.00
7	ბ62. 62231512	31.05.2023	დალი ჯულუხიძის მკურნალობის თანხის დაფინანსება	1,050.00	1,050.00
8	ბ62. 62231809	29.06.2023	თინათინ ნიშნიანიძისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით	15,483.00	15,483.00
9	ბ62. 62232017	20.07.2023	ანანო ურდიასთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით	5,000.00	5,000.00
10	ბ62. 62232158	03.08.2023	დაჩი თევზაძის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით	10,000.00	10,000.00
11	ბ62. 622335317	19.12.2023	ცირა დვალიშვილისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით	5,000.00	5,000.00

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 38,124.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41,586.3ათასი ლარი) 91.7 პროცენტია.





მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5,190.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5,477.0 ათასი ლარი) 94,8 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა ხარჯები: სამტრედიის საკრებულო - 1,046.5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3,790.8 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (დელეგირებული უფლებამოსილება) – 238.4 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით

დაფინანსდა 238.3 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა წლის დასაწყისში შეადგენდა - 150.0 ათას ლარს, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურეობაზე გაიწია 95.8 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 70,1 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 25.7 ათასი ლარი. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 18.5 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14,442.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 84,4 %-ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,109.9	14,442.5	84.4
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	11,348.1	9,601.7	84,6
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,344.2	3,045.4	91,1
02 02 01	ბინათმშენებლობა[1]	2,408.1	2,153.2	89,4
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	154.1	127.8	82,9
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	782.0	764.4	97,7
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,474.7	993.9	67,4
2 03 01	საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	12.0	7.8	65,0

02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	1,459.4	982.8	67,3
02 03 05	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	3.3	3.3	100,0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	938.4	800.0	85.3
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	4.5	1.5	33,3



დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2,982.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,1 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1,903.3 ათასი ლარი მოხმარდა ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას, 670.0 ათასი ლარის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, ხოლო დასუფთავებას მოხმარდა 408.9 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,071.7	2,982.2	97,1
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	1,985.0	1,903.3	95.9
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	677.8	670.0	98.8
03 03	დასუფთავება	408.9	408.9	100,0



განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 6,332.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 6,562.3 ათასი ლარი, 96,5 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 3,697.7 ათასი ლარი, ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 1,339.5 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 304.9 ათასი ლარით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობას მოხმარდა 990.1 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	**განათლება**	6,562.3	6,332.2	96,5
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	3,769.0	3,697.7	98,1
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,436.3	1,339.5	93,3
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	305.3	304.9	99,9
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	1,051.7	990.1	94,1



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა **6,343.9** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული **6,520.5** ათასი ლარისა, რაც გეგმის **97.3** პროცენტს შეადგენს.

აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **4,305.5** ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობას - **1,377.7** ათასი ლარი, შპს „სამტრედიის მაცნე“-ს - **117.0** ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრს - **55.9** ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებას - **187.3** ათასი ლარი, ხოლო - ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსებას - **265.0** ათასი ლარი, ხოლო - კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციას - **35.5** ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6,520.5	6,343.9	97.3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,440.3	4,305.5	97.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	2,437.9	2,308.1	94.7
05 01 02	სპორტული სკოლები	2,002.4	1,997.4	99.8
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	147.5	146.8	99.5
05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	303.4	303.3	100.0
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	124.2	124.1	99.9
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	197.9	197.8	99.9
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	704.8	704.6	100.0
05 01 02 06	ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	221.3	218.2	98.6
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	303.3	302.6	99.8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,415.4	1,377.7	97.3
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	718.4	717.2	99.8
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N1 სახელოვნებო სკოლა	197.8	197.5	99.8
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	88.9	88.8	99.9

05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლეების სამუსიკო სკოლა	62.3	62.2	99.8
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	119.0	118.8	99.8
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	89.2	89.0	99.8
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	77.8	77.5	99.6
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	83.4	83.4	100.0
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	580.6	547.1	94.2
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	116.4	113.4	97.4
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	117.9	117.0	99.2
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	56.0	55.9	99.8
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	188.5	187.3	99.4
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	43.1	42.6	98.8
05 05 02	კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	145.4	144.7	99.5
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	265.0	265.0	100.0
05 07	კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია	37.4	35.5	94.9

(თანხა ათას ლარებში)



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 2,833.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,6%-ს შეადგენს (გეგმა 2,844.9 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას მოხმარდა 154.7 ათასი ლარი, ხოლო სოციალური პროგრამებს 2,678.6 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,844.9	2,833.3	99.6
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	156.2	154.7	99.0

06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	156.2	154.7	99.0
06 02	სოციალური პროგრამები	2,688.7	2,678.6	99.6
06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	327.0	326.5	99.8
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	207.0	202.7	97.9
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	331.0	330.8	99.9
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	1,818.4	1,813.9	99.8
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	4.3	3.7	86.0
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	1.0	1.0	100.0